



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო  
 უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law  
**SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY**  
**აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL**

ოქმი № 17

„ 12 ” 12

2018 წ

**დადგენილება № 75**

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის და ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ვაკანტურ აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო პირობების და საბუთების მიმღები სამდივნოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და 35-ე მუხლის მე-2 პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის და 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/5 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-5, მე-6, 22-ე პუნქტებისა და 27-ე მუხლის, აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად აკადემიური საბჭო ადგენს:

1. გამოცხადდეს კონკურსი:

- ა) განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შემდეგი მიმართულებით:
    - განათლების მიმართულებით:
      - მასწავლებლის განათლება - 1 ასოცირებული პროფესორი
      - უცხოური ენის სწავლების მეთოდოლოგია - 1 ასოცირებული პროფესორი
    - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებით:
      - რუსული ფილოლოგია - 1 ასოცირებული პროფესორი
      - ინგლისური ფილოლოგია - 1 ასოცირებული პროფესორი
  - ბ) ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შემდეგი მიმართულებით:
    - ინჟინერიის მიმართულებით:
      - ინფორმატიკა - 2 ასოცირებული პროფესორი
    - დარგთაშორისი მიმართულებით:
      - ეკოლოგია - 1 ასოცირებული პროფესორი
2. კონკურსი გამოცხადდეს 2018 წლის 14 დეკემბერს, საბუთების მიღების ვადა განისაზღვროს 2019 წლის 14 იანვრიდან 28 იანვრამდე.
3. დამტკიცდეს საკონკურსო პირობები თანდართული სახით.
4. დამტკიცდეს საბუთების მიმღები სამდივნო შემდეგი შემადგენლობით:

- გიული ზედგინიძე - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსის მ.შ.
- ნანა ხითარიშვილი - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების სპეციალისტის მ.შ.

5. დამტკიცდეს საკონკურსო-საფაკულტეტო კომისიები შემდეგი შემადგენლობით:

ა) განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - ირმა ქურდაძე (თავმჯდომარე), დიანა მიქელაძე, ასმათ ევსაია;

ბ) ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფალულტეტზე - ლელა წითაშვილი (თავმჯდომარე), ზაირა ტყეშუჩავა, მალხაზ ნარიმანაშვილი, დავით გოგალაძე, მირზა მდივანი;

6. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ჩაბარდეს შესაბამის ფაკულტეტებს.

8. საფუძველი: განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 07 დეკემბრის N13/01 და N13/02 გადაწყვეტილებები; ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფალულტეტის საბჭოს 2018 წლის 12 დეკემბრის N26/12/01 და N26/02/01/01 გადაწყვეტილებები.

9. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მეზღლიშვილის ქ. N62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
რექტორი, ასოცირებული პროფესორი

მაკა ბერიძე



## საკონკურსო პირობები

### კონკურსის ძირითადი პირობები:

1. პროფესორის თანამდებობაზე 5 წლის ვადით შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება.
2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე 4 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
3. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 3 წლის ვადით.
4. უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი, ხოლო აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელმაც მიაღწია 65 წელს, აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლდება აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადის გასვლის შემდეგ.
5. გამონაკლისის სახით უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს 65 წლის ასაკს გადაცილებული პირი, თუ იგი აკმაყოფილებს აკადემიურ კონკურსში მონაწილე კანდიდატისადმი დადგენილ მოთხოვნებს. აკადემიური თანამდებობის დაკავება ხორციელდება კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.
6. საკონკურსო კომისიის მიერ გათვალისწინებული იქნება: კონკურსანტის კვალიფიკაციის და კომპეტენციის შესაბამისობა საკონკურსო თანამდებობასთან, მათ შორის საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი პედაგოგიური, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, სხვა აქტივობები, მიღწევები, კვალიფიკაციები და დამსახურება;

ასევე საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტთან (კონკურსანტებთან) ჩატარებული გასაუბრება-ინტერვიუს და (კომისიის გადაწყვეტილებით ან კონკურსანტის მოთხოვნით) საჯარო ლექციის შედეგები. (გასაუბრება-ინტერვიუ შესაძლებელია ჩატარდეს როგორც უშუალო შეხვედრით, ასევე დისტანციურად ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით)

**კონკურსში მონაწილეობის მსურველმა საკონკურსო კომისიის სამდივნოში უნდა წარადგინოს:**

- ა) სათანადო ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი განცხადება და ანკეტა (ფორმები გაცივმა საბუთების მიმღები კომისიის მიერ, ან კონკურსანტს შეუძლია ელექტრონული რესურსის გამოყენება, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: <http://www.sjuni.edu.ge>), აგრეთვე მათში წარმოდგენილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: დიპლომი (ნოტარიულად დამოწმებული ასლი), სერტიფიკატი, მოწმობა, სიგელი, ცნობა და ა.შ.
- ბ) სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი (ნოტარიულად დამოწმებული ასლი);
- გ) დისერტაციის (საკანდიდატო/სადოქტორო) სადისერტაციო მაცნე (ავტორეფერატი);
- დ) სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების (სტაჟის) დამადასტურებელი საბუთი (საბუთები), დამოწმებული შესაბამისი ორგანიზაციის/დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდით;
- ე) სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური ნაშრომების და სამეცნიერო პრეზენტაციების (კონფერენციებზე, სიმპოზიუმზე, სემინარზე და ა. შ.) ნუსხა, დამოწმებული შესაბამისი დაწესებულების/ ორგანიზაციის კომპეტენტური პირის ხელმოწერითა და ბეჭდით (დამოწმება ასევე შესაძლებელია უმაღლესი სასწავლებლის შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდით);



ვ) იმ დისციპლინების ჩამონათვალი, რომელსაც კონკურსანტი ბოლო 5 წლის განმავლობაში კითხულობდა აკრედიტებულ უსდ-ში (დამოწმებული შესაბამისი ორგანიზაციის/დაწესებულების ბეჭდით);

ზ) პროფესორის და ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს სამეცნიერო კვლევის კონცეფცია, ხოლო ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად სამოტივაციო წერილი;

თ) პროფესორის და ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს სილაბუსები ანკეტაში მითითებულ ყველა საგანში;

ი) პირადობის მოწმობა (დედანი და ქსეროასლი);

კ) ორი ფოტოსურათი;

ლ) ყველა მონოგრაფია და სახელმძღვანელო, რომელიც მითითებულია კონკურსანტის შრომების ჩამონათვალში (ბოლო 6 წლის განმავლობაში).

## კონკურსში მონაწილეთა შეზღუდვა

კონკურსანტის აკადემიური/სამეცნიერო ხარისხის (ან დოქტორანტის) მიმართულება ზუსტად უნდა ემთხვეოდეს დასაკავებელი აკადემიური თანამდებობის მიმართულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში კანდიდატის დოკუმენტაცია არ განიხილება.

აკადემიურ თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში დაიშვება მხოლოდ ის კონკურსანტი, ვისაც შეუძლია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაუთმოს სამუშაო კვირის მინიმუმ სამი დღე და აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში უნივერსიტეტთან გააფორმებს აფილირების ხელშეკრულებას.

საკონკურსო კომისიის მიერ გათვალისწინებული იქნება კანდიდატის მიერ გამოქვეყნებული ის სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური ნაშრომები, რომელიც ზუსტად ემთხვევა დასაკავებელი აკადემიური თანამდებობის მიმართულებას ბოლო 6 წლის განმავლობაში.

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ნაშრომები, როგორც აუცილებელი პროცედურა, მოწმდება პლაგიატზე უნივერსიტეტში შექმნილი პლაგიატის კომისიის მიერ. პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში კონკურსანტის კანდიდატურა საკონკურსო კომისიის მიერ არ განიხილება.

## კონკურსის ჩატარების წესი

1. კონკურსი ჩატარდება “უმადლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად.

2. კონკურსი ცხადდება 2018 წლის 14 დეკემბერს. დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვრება 2019 წლის 14 იანვრიდან 28 იანვრამდე. კონკურსი ჩატარდება საბუთების მიღების დასრულებიდან არანაკლებ ერთი და არაუგვიანეს ორი თვის ვადაში.